

დ რ მ ე ბ

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 237 კვირა, 25 ოქტომბერი 1909 წ. დამატების № 42

ს ა ლ ო მ ე

დრამა ერთ მოქმედებად.

ოსკარ უალდისა.


(დასასრული *)

იროდია. დიახ, თქვენ ფიცი დასდეთ! ყველამ გაიგო! ყველასთან დაიფიცეთ!

იროდი. დაჩუმდით! მე თქვენ არ გელაპარაკებით!

იროდია. ჩემი ქალი სამაროლიანად გთხოვთ იმ კაცის თავსა! ყველაფერში მგმობდა იგი! საშინელ ამბებს ამბობდა იგი ჩემ შესახებ. სჩანს, ძლიერ უყვარს მაგას თავისი დედა! არ დაუთმოთ, ჩემო ქალო! მან ფიცი დასდო, ფიცი დასდო!

იროდი. დაჩუმდით, ნუ მელაპარაკებით! ყური დამიგდეთ, სალომე! ნუ დაჰკარგავთ კეთილ-გონიერებას!.. გონიერი უნდა იყოთ, ხომ მართალია? მე ხომ სასტიკად არასოდეს მოგპყრობივართ!? ყოველთვის მიყვარდით. შეიძლება, ძლიერაც მიყვარდით!.. მაშ ასე, ნუღა მთხოვთ იმას! საშინელია, შესაზარი ეგ მოთხოვნა! არც მგონია, რომ მაგას მოითხოვდეთ ჩემგან. თავ-მოკვეთილი ადამიანი—ეს ხომ შემადრწუნებელი სანახავია? არა? არ ჰმართებს ახალგაზრდა ქალს იმაზე ცქერა! განა როგორ გასიამოვნებთ ისა? არაფითარ სიამოვნებას არ გაგრძნობინებთ ის სანახაობა! არა, არა, თქვენ ის არ გინდათ?.. მომისმინეთ ერთი წუთიც... მე ზურმუხტი მაქვს, დიდი რგვალი ზურმუხტი, რომელიც კეისრის მეგობარმა გამომიგზავნა. ამ ზურმუხტში რომ გაიხედოთ, ყვე-



დავითი, — ქანდაკება მიქელანჯელოსი.

ლაფერს ნათლად დინახავთ, რა გინდ შორსაც იყოს საგანი! მისი ბადალი თვით კეისარს დააქვს, როცა ცირკში მიდის ხოლმე. მაგრამ ჩემი ზურმუხტი უფრო დიდია, ჩემი ზურმუხტი მთელ სამყაროზე უდიდესი ზურმუხტია! ხომ გინდათ იგი? მთხოვეთ, ან მე მოგცემთ!

სალომე. მე იოქანანის თავსა გთხოვთ!

იროდი. თქვენ ყურს არ მიგდებთ! ყურს არ მიგდებთ, სალომე! მათქმევინეთ, სალომე...

სალომე. თავი იოქანანისა!

იროდი. არა, არა, თქვენ ეგ არა გსურთ! მხოლოდ ჩემ სატანჯელად ამბობთ მაგას, რადგან მთელი საღამო თქვენ გიყურებთ. ასეა, მთელი საღამო თქვენ გიყურებდით. თქვენმა სილამაზემ მომხიბლა. საშინლად მომხიბლა თქვენმა სილამაზემ და მეც ძლიერ დავაცქერდით. მაგრამ არასოდეს აღარ ჩავიდნენ ამას... არც ადამიანებს უნდა უყურებდეს კაცი და არც სხვა საგნებს... მარტოოდენ სარკეებში უნდა ვიციკირებოდეთ, ვინაიდან ისინი მხოლოდ ნიღაბს გვაჩვენებენ... ოჰ, ღვინო, საშინლად მომწყურდა... სალომე, მეგობრებად მივიღოთ ერთმანეთი. რა უნდა მეთქვა... რა? ჰო, მომაგონდა... სალომე, მომიახლოვდით, მოლით

ჩემთან: მეშინიან, ვაი თუ ვერ გაიგონათ ჩემი სიტყვები... სალომე, გინახავთ ჩემი თეთრი ფარშავანგები, ჩემი მშვენიერი მირ-

*) იხ. სურათებიანი დამატება № 41.

სინისა და ალვის ხეთა ხეივანში მედიდურად მოსეირნე ფარ-
შეენაგები? შეოქვრილია მათი ნისკარტები, მათთვის საკენ-
კიც შეოქვრილია. მათი ფეხები ალის ფერად არის შეღები-
ლი... წვიმა მოდის, როცა გაკვირვან ხოლმე, და ცის კამა-
რაზე მთვარე ამოდის, როდესაც ბოლოებს გაჰშლიან... წყვილ
წყვილად დასეირნობენ მირსინის და ალვის ხეების ხეივანში.
თვალყურის მგდებლად მონა ჰყავთ მიჩენილი... ზოგჯერ ხეებში
დაფრინავენ და ზოგჯერ კორღზე სხედან, ჩგნი ტბის პირად ..
მთელ სამყაროში არ მოიპოვება ისეთი ლამაზი ფრინველი.
მთელ სამყაროზე არ არის მეფე, რომელსაც ასეთი საუცხოვო
ფრინველი ჰყავდეს. დარწმუნებული ვარ, თვით კეისარსაც
არა ჰყავს ასეთი ფრინველი. მაშ მომისმინეთ: ორმრცდაათს
ფარშეენაგს გაჩუქებთ.. ისინი ყველგან თან გამოგყვებიან
და მათ შორის მყოფი თქვენ თეთრ ღრუბელში გახვეულს
მთვარეს დაემსგავსებით... ყველას გაჩუქებთ... მხოლოდ ასი
ცალი მყავს. არ არის ისეთი მეფე, რომელსაც ჩემი ფარშე-
ენაგის ბადალი ჰყავდეს, — მაგრამ ყველას თქვენ გაჩუქებთ.
მხოლოდ ჩემის სიტყვისაგან გამანთავისუფლეთ და ნულა
მომთხოვთ იმას, რასაც ეხლა მთხოვთ... (ღვინთ სახსე ფა-
ლას ძირამდე დასცდის).

სალომე. მომეცით თავი იოქანანისა!


იროდია. მშვენიერი თხოვნაა, ასულო ჩემო. თქვენ
სასაცილო ხართ თქვენის ფარშეენაგებით...

იროდი. დაჩუმდით! თქვენ მუდამ ყვირით! თქვენ მტა-
ცებელს ფრინველივით ყვირით! არ ვარგა ეგრე ყვირილი!
თქვენი ხმა მაბრაზებს! გეუბნებით, დაჩუმდით!... სალომე,
დაუფიქრდით, რასა შერებით? შეიძლება, ღვთისაგანაც არის
მოვლენილი ის კაცი. ღვთის მარჯვენა შეჭნებია იმას. ღმერ-
თმა ჩაუნერგა ეს საშინელი სიტყვები. როგორ უღაბნოში,
სასახლეშიაც ისევე განუწყვეტლივ თან დასდევს ღმერთი...
ყოველ შემთხვევაში, ეს შესაძლებელია არავინ იცის, მაგ-
რამ შეიძლება ღმერთი მასთან და იმის მხარეზე იყოს... და
თუ ის მოკვდა, შეიძლება უბედურება დატრიალდეს. ხომ
თითონ იმანა სთქვა: „როცა მოვკვდები უბედურება დატრი-
ალებოა“... მხოლოდ მე დაემართება ეს უბედურება.
მოიგონეთ, — სისხლში ფეხი დამისხლტა, როცა აქ გადმო-
ვლიოდი; ჰაერშიც ფრთების ფრთხილი მესმოდა, უზარმაზარ
ფრთების ფრთხილი. ძლიერ ცუდი ნიშნებია ეს... სხვაც
ბევრი იყო, დარწმუნებული ვარ, იყო სხვაც ბევრი, თუმცა
მე არ მინახავს და არ გამიგია... სალომე! თქვენ ხომ არ
გინდათ, რომ მე უბედურება დამატყდეს თავს? თქვენ ხომ
არა გსურთ? მაშ მომისმინეთ...

სალომე. მომეცით თავი იოქანანისა!

იროდი. აი, ხედავთ, თქვენ არა გსურთ, რომ დადინ-
ჯებით მომისმინოთ: დამშვიდდით! მეტის-მეტად მშვიდად
ვარ მე, სრულიად მშვიდად... ყური დამიგდეთ: მე დამალუ-
ლი მაქვს აქ ძვირფასი სამკაული, რომელიც დედა თქვენსაც
არ უნახავს არასოდეს, — უძვირფასესი საუნჯე. მე მაქვს
ოთხპირი მარგალიტის საყელიური. ვერცხლის სხივებზე აბ-
მულს მთვარეებსა ჰგავს. თითქო ორმოცდაათი მთვარე იყოს
ოქროს ბადეში გახვეულიო. დედოფალი ატარებდა თავის
სპილოს ძვალივით სპეტაკ მკერდზე... შენც იმ დედოფალი-
ვით მშვენიერი იქნები, სალომე, როცა იმას გაიკეთებ.
ორგვარი ამეთვისტო მაქვს. ერთი — ნამდვილ ღვინოსავით
შავია, ხოლო მეორე — წითელი, ვით წყალ დაკრული
ღვინო. ყვითელი ბეჭმენდები მაქვს, — ყვითელი, ვით თვა-
ლები ვეფხვისა, და ვარდის ფერი, მტრედის თვალი, — მწვა-
ნე, ვით თვალი კატისა. მაქვს ცისდანაკი, რომელიც ცივი
ალით ჰკრთის ყოველთვის და სევდით მოიცავს ადამიანის
სულს და რომელსაც სიბნელისა ერიდება. მაქვს მიცვალე-
ბულის თვალის კაკლის მსგავსი ანკვიით! მაქვს მთვარის ქვა,

რომელიც ფერს იცვლის, როცა იცვლება მთვარე, და ფერს
ჰკარგავს, როცა მზესა ჰხედავს. მაქვს საფირონი, — ღიდი,
ვით კვერცი, ლურჯი, ვით ლურჯი ყვავილი. მასში ზღვა
ღელავს და მთვარე არასოდეს არ არღვევს იმის ლაქვარდ
ტალღების სრბოლას. მაქვს ოქროს ქვა და ბივრილები, მაქვს
ბადახშოლალი... მაქვს არაღნიქსო და სუმბული და ქვალ-
კვიდონი... ყველაფერს თქვენ მოგცემთ, დიან, ყველაფერს.
კიდევ მრავალ სხვა რამეს. მოგცემთ... ინლოეთის მეფემ ეს
არის ეხლა გამომიგზავნა თუთიყუშის ფრთებისაგან გაკეთე-
ბული ოთხი მარაო, ნუმიდიის მეფემ კი — სირაქლემის
ფრთებისაგან შექსოვილი სამოსელი. მაქვს ბროლი, რომელ-
ში ჩახედვაც აკრძალული აქვთ ასულთ; ჰაბუკებს შეუძლიანთ
ჩახედონ შიგ მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც მწვავედ
გაშოლტავენ. მაქვს სამი საკვირველი ფირუზი სადაფის ყუ-
თით. შუბლზე რომ გაიკეთოს, მაშინვე არსად ნახულს საგ-
ნების ხილვას შესძლებთ, ხოლო თუ ხელზე გაიკეთებს ქალი,
იგი უშვილო შეიქმნება. ძვირფასი საუნჯეა, დაუფასებელი!
ეს კი რა: ებინოსის ყუთით ორი ოქროს მსგავსი ქარვის
ფიალა მაქვს. მტერმა რომ შხამი ჩაყაროს შიგ, ვერცხლის
ვაშლებს დაემსგავსებიან... ქარვით დაფენილს ყუთში შუშის
სანდლები მაქვს შენახული. მაქვს სერრისის ქვეყნიდან მოტა-



ნიკოლოზ დალიანი,

ცნობილი მოღვაწე და მწიგნობარი.
წელს 12 ოქტომბერს შესრულდა 12 წელიწადი, რაც
ვანსვენებული გარდაიცვალა.

ნილი სამოსელი და წითელი ღალით და ეფერატის ქალა-
ქიდან მოტანილი გვირით შემკული სამაჯურები... სხვა რა-
ლა გინდა? რა გინდა, სალომე? მითხარი, რა გსურს და
მოგცემ... ყველაფერს მოგცემ, რასაც მომთხოვ, ერთის გარ-
და. რაცა მაქვს, ყველაფერს დაგიბოძებ, გარდა ერთის სი-
ცოცხლისა... მოგცემ მღვდელ-მთავრის სამოსელს, წმინდათა-
წმინდას ფარდას მოგცემ, სალომე!

იუდეველნი. ო-ო! ო-ო!...

სალომე. იოქანანის თავი მომეცი!

იროდი. (სარეცხზე დაეშვება) მიეცეს, რასაც თხოუ-
ლობს! ქეშმარიტად იგი ასულია თავის დედისა!... (პირველი
მეომარი მიუახლოვდება. იროდია მხსნის მშარტველს თითზე
გაკეთებულს სიკვდილის ბეჭედს და მას გადასცემს. მეომარი
მეისვე ჯაღათს გადასცემს: მ ბეჭედს. ჯაღათი თავზარდაცემულია)



ვინ წაიღო ჩემი ბეჭედი? მარჯვენა ხელზე ბეჭედი მქონდა... ვინ დალია ჩემი ღვინო? ჩემ ფიალაში ხომ ღვინო იყო?! იგი სავსე იყო ღვინით... მაგრამ ვიღაცამ დალია. მე მრწამს, რომ ვიღაცას უბედურება თავს დაატყდება! (ჯაღათი ჭაში ჩაეშვება) ახ, რად მივეცი სიტყვა? შეფეხება არასოდეს არ უნდა მისცენ ხოლმე სიტყვა. საშინელებაა სიტყვის მიცემა, ისევე საშინელია სიტყვის შეუსრულებლობა!...

იროლია. ჩემი ქალი მშვენივრად მოიქცა, — მე ასე მეგონა...

იროლი. დარწმუნებული ვარ, უბედურება მოხდება...

სალომე. (ჭაში ჩაიხედავს და უუჩს უგდებს) სიჩუმეა, არაფერი მესმის. რატომ არა ყვირის ის კაცი? აჰ, ჩემი მოკვლა რომ უნდოდეს ვისმე, დავიყვირებდი, თავს დავიცავდი. წამებას გავექცეოდი... დაჰკა, დაჰკა, ნაამან! დაჰკა—მე გიბრძანებ!... არა მესმის-რა, საშინელი მდუმარებაა!... აჰ, რაღაც დაეცა მიწაზე, გავიგე, რაღაც დაეცა... ჯალათის მახვილია. იმ მინას ეშინიან, ხელიდან გააგდო მახვილი! ვერ გაუბედნია მისი მოკვლა... ლაჩარია ის მონა! მეომარნი ჩავგზავნათ! (შენიშნავს ირფადს ფარეშს და მიუბრუნდება) აქ მოდი! შენ ხომ მეგობარი იყავი იმის, აქ რომ თავი მოიკლა? აჰა, ჯერ საკმაოდ არ დახოცილა ხალხი! უბრძანეთ მეომართ, ჩაეშვენ და მომი-



სპარსეთის ცხოვრება.

როგორა სჯიან სპარსეთში დამნაშავეს.

ტანონ ის, რასაც მე ვითხოვ, ის, რასაც დამპირდა მმართველი, ის, რაც მე მეკუთვნის! (ფარეში უკან დაიხედა. საღამო შეომართ მიუბრუნდება) აქეთ მოდი, მეომარნი! ჩაეშვიტ ქაში და იმ კაცის თავი ამომიტანეთ! (მეომარნი უკან დაიხედა) მმართველო, უბრძანე თქვენს მეომარებს, იოქანანის თავი ამომიტანონ! (ჭიდან გამოჩნდება ჯაღათის უზარმაზარი შავი ხელი. ვერცხლის ფარით იოქანანის თავი ამოაქვს. საღამო თავს ხელს დასტაცებს. ირფადი წამოსახურავით იბურავს სხეს. ირფადი იდიშება და მარათი იკრძალებს გუფს. ნაზარეველი მუხლს მოიფრანს და ღოგუფობენ) აჰა, შენ არ გამიშვი, რომ დამეკოცნა შენი ტუჩები, იოქანან! აი, ეხლა გაკოცებ! კბილებით დაგებენ, როგორცა ჰკბენენ ხოლმე მწიფე ნაყოფს! დიახ, ტუჩებში გაკოცებ, იოქანან! მე ხომ გეუბნებოდი? მაშ, აჰა, ეხლა გაკოცებ!... მაგრამ რატომ არ მიყურებ, იოქანან? შენი საშინელი, გულის წყრომით და სიძულვილით სავსე თვალები დახუჭულია ეხლა! გაახილე თვალები! გახსენი წამწამნი, იოქანან! რატომ მიყურებ? გეშინიან ჩემი, იოქანან, და ამიტომაც ჩემი ცქერა არა გსურს!? აღარ იძვრის განა შენი ენა, რომელიც თითქო შხამ მორეული წითელი გველი იყო! აღარაფერს ამბობს ის იქედნა, — ის წითელი იქედნა, რომელიც გესლს მანთხევდა მე. საკვირვე-

ლია განა? რატომ არ იძვრის ეხლა ის იქედნა?! გინდოდი განა, იოქანან! თავიდან მომიშორე, მლანძღავდი, შენ როსკივივით ან მეძავ ქალივით მომეპყარი მე, სალომეს, იროლიას ქალს, ურიასტანის მეფის ასულს! აჰა, მე ცოცხალი ვარ, იოქანან, შენ კი მოკვდი, და შენი თავი მე მეკუთვნის ეხლა! ჩემი სურვილისამებრ მოვეპყრობი ეხლა შენს თავს. შემოძლიან ძაღლებსა და ფრინველებს გადაუგდო შენი თავი! ფრინველები გასწეწენ, რასაც ძაღლები დასტოვებენ... ახ, იოქანან! შენ იყავი ის ერთადერთი კაცი, რომელიც მე შემეყვარდა... ყველა მამაკაცი ჩემში ზიზღსა ჰბადებს მხოლოდ. მაგრამ შენ, შენ მშვენიერი იყავი... შენი ტანი სპილოს ძვლის სვეტი იყო, ვერცხლის საძირკველზე აგებული. იგი მტრედებითა და ვერცხლის ზამბახით სავსე წალკოტი იყო, სპილოს ძვლის ფარებით შემკობილი ვერცხლის კოშკი იყო! არარა იყო მთელს სამყაროზე ისეთი თეთრი, როგორიც შენი ტანია. არარა იყო მთელ სამყაროზე ისეთი შავი, როგორიც შენი თმაა. არაფერია მთელს სამყაროზე შენი ტუჩებივით წითელი... შენი ხმა საცეცხლო იყო, რომლიდანაც საკვირველი კეთილსუნუნელება აღმოხდებოდა ხოლმე. შენს შემაცქერელს საოცარი ჰანგები მესმოდა... აჰ, რად არ მიყურებდი, იოქანან! შენს ხელებში და კრულვამობაში დამალე შენი სახე! შენ ღმერთის ხილვის მსურველის სუდარით აიკარი თვალები, და აჰა, ნახე შენი ღმერთი, იოქანან! მე კი, მე... არასოდეს არ გინახივარ... რომ დაგენახე, შეგიყვარდებოდი... მე, მე დაგინახე, იოქანან, და შეგიყვარე კიდევ... ოჰ, რა რიგ შეგიყვარე, და ჯერაც ისევე შენ მიყვარხარ, იოქანან, მხოლოდ შენ მიყვარხარ, იოქანან!... შენი სიკეკლუცე მწყურია... შენი ტანი მშინ... ვერც ხილი, ვერც ღვინო ვერ დააცხრობს ჩემს სიყვარულს... რაღაქნა ეხლა, იოქანან! ვერც მდინარენი, ვერც ამბოხებული ნიაღვარი ვერ დააცხრობს ჩემს ვნებათაღელვას! მეფის ასული ვიყავი, — შენ უკუ მაგდე, ქალწული ვიყავი, — შენ წამართვი ეს ქალწულობა, უმანკო ვიყავი, — ჩემს ძარღვებში ჩააფრქვიე ძლიერი ცეცხლი!... აჰ, რატომ არ მიყურებდი, იოქანან! რომ დაგენახე, შემიყვარებდი! ვიცი, ვიცი, შემიყვარებდი, და სიყვარულის საიდუმლოება უფრო დიდია, ვიდრე სიკვდილის საიდუმლოება... მხოლოდ სიყვარულს უნდა უყურებდე!...

იროლი. საშინელია შენი ქალი, საშინელია! ქეშმარიტად უძლიერესი ბოროტებაა ის, რაც მან ჩაიღინა ეხლა... მე მრწამს, რომ ეს უხილავ ღმერთის წინააღმდეგ არის მიმართული ..

იროლია. მე მომწონს ჩემი ასულის საქციელი, და ეხლა აქ ყოფნა მსურს!...

იროლი. (წამოხედავს) ოჰ, ისე დაიწყო ლაპარაკი მეძავმა მეუღლემ... წავიდეთ, აღარ მინდა აქ ყოფნა!.. გეუბნებით, წავიდეთ! უბედურება უნდა მოხდეს აქ... მანასია, ისსაქარ, ოსია, ჩაქრეთ ჩირაღდანი, აღარაფრის დანახვა აღარ მინდა! არა მსურს, რომ მიყურებდეს ვინმე! ჩაქრეთ ჩირაღდანი, დამალეთ ის მთვარე, ის ვარსკვლავებიც დაჰკარგეთ!.. ჩვენ სასახლეში დავიმალნეთ, იროლია!.. ო მეშინიან!.. (მხეხება ჩიჩქანს აქრებენ. ვარსკვლავნი ჰკრთიან. დიდი, შავი დრუბელი გადაეფარება მთვარეს და სრულებით დაჰმაღავს. სტენაზე უკუნეთი სიბნელეა. მმართველი კაბეკიზე ადის წენარად).

სალომეს ხმა. აჰა, იოქანან, პირზე გაკოცე, პირზე გაკოცე! შენს ტუჩებს მხურვალე გემოვნება ჰქონდათ... ნუ თუ ეს სისხლის გემოვნება იყო?! მაგრამ, შეიძლება, სიყვარულის გემოვნება იყო... სიყვარულსაც მხურვალე გემოვნება აქვსო, ამბობენ... მაგრამ სულ ერთია, სულ ერთი!

აჰა, პირზე გაკოცე, იოქანაან, პირზე გაკოცე!... (მთვარეს სხივი საღამოს დაეცემა და სინათლეზე კარგადა სჩანს!)

იროდი. (მთხედვს უკან და, საღამოს რომ დაინახავს) მოკალით ეგ დიაცი! (შეფარნი მისცვივლებიან და ფარებით გასწეკეენ საღამოს, ირადიას ქაღს, ურასტანის მეფის ასულს).

3. დაღვაძე.

მამა

მამა!

„კაცთა სიავით გულ-მოკლულსა“ და „ჩვენი სიცხადით გულ-დაჩაგრულსა“ მინდა შენ გამოგელოპარაკო.

აგერ თორმეტი წელიწადია, შენთან არ მილაპარაკებია. ყურს არ მიფსალმუნებია შენი „ტკბილ-სასმინარი“ ქართული. ახირებული კი იქნება, მამა, ჩვენი საუბარი!

მაგრამ სიცოცხლეშია ცგანა „ახირებული“, განსხვავებული და უცხო არ იყო საზოგადოთ შენი საუბარი, შენი ლაპარაკი, შენი ბჭობა, შენი თათბირი, შენი მოღვაწეობა, შენი მწერლობა—მთლად შენ, შენი თვითება.

შენ სხვა იყავ.

„სულ სხვა კაცი“-ო, შენ არ დაარქვი ზეპირათ ერთს შენს განზრახულს რომანს, რომელიც, სავალადოთ, არც მე და არც სხვას ვისმე თავის დღეში არ უნახავს. იგიც თან ჩაიყოლე საფლავს სხვა დიად აზრთა და სურვილთა შორის.

სად არის ეხლა ეს „სულ სხვა კაცი“? სადა ხარ, მამა? როგორ მინდა მჯეროდეს თუნდ ფლამარიონის მარცხი, საცა შენისთანა ღირსეული პიროვნება გადაესახლება თურმე ჩვენის მკონარე ცთომილისაგან.

საცა მკვიდრთ, ადამიანის გვარ მალალ არსებათ, ოცდაოთხი ნიჭი აქვთ და დღისით ხუთი მზე უნათებთ და ღამით შვიდი მთვარე.

თუ ეგრეა ბედნიერი ყოფილხარ, მაგრამ ნუ თუ ამ ქვეყნად, ჩვენს ცთომილზე შენი საყოველთაო მოგონება წარისოცა?

ნუ თუ მხოლოდ ორიოდ მეგობრის სანახსოვრო დარჩა? მომიტევე, მამა, მაგრამ ზოგჯერ ექვი მიპყრობდა—ვაი თუ სიყვარული მიბრძავებს თვალებს, ვაი თუ მეც კერპის თაყვანის სცემელი შევიქმენ, თორემ შენი სიცოცხლე არა ყოფილა ისე ძლიერი და შენი ნამოქმედარი ისე საგრძნობელი, რომ ხალხის გულს ღრმათ ჩარჩენოდა-მეთქი.

მაგრამ არა, მამა, ჭირ-ნახულო, მრავალ-ტანჯულო მამა! კარგად ვიცი, ეს ისევე-და-ისევე ჩვენი უკულტურობის ბრალია, ჩვენი მკონარეობის, რომ შენისთანა მალალი პიროვნებანი თვით ჩვენ გამოუცნობელნი გვყავს, თვით ჩვენ გამოურკვეველნი სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც, თორემ აქ არც ხალხი და არც თქვენ, შენ და შენისთანები, მამა, არაფერ შუაში ხართ.

ცხოვრების დიად ტალღათაგან, რომელთაც მარგალიტებთან ერთად სხვადასხვა ნალექიც მოაქვთ, ჯერ კიდევ ვერ გამოგვიკრეფია ეგ „თვალნი პატიოსანი“ და ხალხის გულზე ტურთა მძივებთ ვერ ჩამოგვიკიდნია.

თორემ როგორ დავიჯერო, ის კაცი, რომელმაცა სთქვი: „არ მირდა ვაფთბე იმითი, რომ სხვებსა ციოდეს.

„არ მინდა ვაფდლე იმითი, რომ სხვებსა შიოდეს“-ო, და არამც თუ სთქი—მთელი შენი სიცოცხლე სწორედ

ეგრეც მოქმედებდი, დავიწყებულ იქმნა და გადაფუჩეზებული. არა, მამა, შენი კვალი, როგორც შენს „ფაცხა“-ში

ამბობ (ვაჰმე, კვლავ დაუმთავრებელში), დიდებულათ ზღვაში ჩასვენებულს მზის ნაკვალევსა ჰგავს.

მხოლოდ ამ მზის ჩასვლას თავისი მნახველი უნდა, თავისი დამფასებელი.

ხშირად ბევრნი შევცქერით ხოლმე ამ დიად სურათს, მაგრამ ვერ კი შეგვიგნია სრულად მისი უცხო მშვენიერება.

აკი შენც წარმოგცდა ერთხელ გულნატკენს — ობლად იგრძენ თავი:

„მწირი ვარ, მაგრამ ვის შევბრალდები, ჩემს მწირის მოთქმას ვინ უგდებს ყურსა?! მოძმეთ შუა, რომ ტყულა ვწვალდები,

ვინ დამიფასებს ჩემ-სამსახურსა!“-ო.

ოჰ, ეს ჩუმი სამსახური!—რა მშვენიერია, რა მართლა მალალ-კაცობრიული.

მაგრამ, როდესაც ცხოვრების დაულევენლომა ბოროტებად, დაუსრულებელმა ეკალ-ბურღმა შენს ნაზ გულს მეტად მწარედ უწყეს ჩხვლეტა, ფაფარი არ დაგიდრეკია, მაგრამ თითქო უნებლიეთ ამოიკენესე:



სპარსეთის ცხოვრება. — დერვიში.

„რათ მოვიდა ნეტა ქვეყნათ მესია, თუ ეს ყველა ამ ცხოვრების წესია!“ ო. რამდენი ნალველია ამ სიტყვებში, ნალველი გულ-წრფელისა და „ჩუმის“ მოღვაწისა.

ჩუმი! შეიძლება ესეც არის მიზეზი, რომ ჩვენ არ ვიცით ვინ იყავი შენ?

თერგ-დალეული, მეორე თაობის, რომელსაც მეგონი სახელი არ მოეძევება, მესამე დასელი, ანარქისტი თუ რა?

მაგრამ ამის პასუხი თვით შენა გაქვს ნათქვამი. აი, როგორ იყო საქმე:

ტფილისში ყოფნის დრთს, ერთხელ იანოვსკი გვეწვია, მაშინდელი ცნობილი „ოლქის მზრუნველი“.

საქმი დღე იყო, შუა-დღე. მე რომ შინ დამინახა, 15—16 წლის ჭაბუკი, იუცხოვა:

—სასწავლებელში არსად არ არისო?
—არც არის და არც არასოდეს იქმნებაო.— უპასუხა მამამ.

—მაშ რა უნდა გამოვიდეს მაგისაგანაო? შევხუმრა ოლქის მზრუნველი.

მამამაც ღიმილით, მაგრამ მტკიცეთ უპასუხა:
—უწინარეს ყოვლისა ადამიანიო.

ადამიანი, კაცი! სრულის თავის ღრმა მნიშვნელობით. აი, მამას იდეალი.

მაშინ კარგათ ვერ გავიგე და თურმე, საყვარელო მამა, რა მძიმე მოვალეობა დაგიკისრებია ჩემთვის!

(დასასრული იქნება)

შალვა დადიანი.